

შპს ტურისტული კომპანია ჯორჯიან ჰოლიდების
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის.
(მსს ფასს)

სარჩევი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3. ამონაგები	9
4. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	9
5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9
6. სხვა საოპერაციო ხარჯები	9
7. მოგების გადასახადი	10
8. ძირითადი საშუალებები	10
9. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	10
10. საგადასახადო აქტივები	11
11. სესხები და კრედიტები	11
12. საწესდებო კაპიტალი	12
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	12

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები	3	2,800,419	887,436
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	4	(2,176,987)	(762,561)
საერთო მოგება		623,432	124,875
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(360,766)	(250,005)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობები - წმინდა		29,332	62,518
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(61,026)	(46,952)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		230,972	(109,564)
ფინანსური შემოსავალი		-	1,729
ფინანსური ხარჯი		(22,000)	(40,405)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(22,000)	(38,676)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		208,972	(148,240)
მოგების გადასახადის ხარჯი	7	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		208,972	(148,240)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		248,600	396,840
დივიდენდები	12	-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		457,572	248,600

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2022	2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	9	20,705	57,551
საგადასახადო აქტივები	10	5,800	28,360
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		62,508	3,351
გადახდილი ავანსები		-	63,421
		89,013	152,683
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	896,106	911,570
		896,106	911,570
სულ აქტივები		985,119	1,064,253
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი		(165,002)	(342,529)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		(5,586)	(10,810)
მოკლევადიანი სესხები	11	(30,014)	(63,636)
		(200,602)	(416,975)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	(316,313)	(396,873)
		(316,313)	(396,873)
სულ ვალდებულებები		(516,915)	(813,848)
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	(10,632)	(1,805)
გაუნაწილებელი მოგება		(457,572)	(248,600)
		(468,204)	(250,405)
სულ კაპიტალი		(468,204)	(250,405)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		(985,119)	(1,064,253)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		208,972	(148,240)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		19,593	24,491
საპროცენტო შემოსავალი		-	(1,729)
საპროცენტო ხარჯი		22,000	40,405
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობები		(29,332)	(62,518)
		221,233	(147,591)
<i>კორექტირებები:</i>			
ზრდა სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		(62,865)	(5,265)
კლება/(ზრდა) საგადასახადო აქტივებში		22,560	(298)
კლება გადახდილ ავანსებში		63,421	54,841
კლება გადავადებულ შემოსავალში		(177,527)	(9,301)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		8,715	(870)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		75,537	(108,484)
მიღებული პროცენტი		-	1,729
გადახდილი პროცენტი		(22,000)	(40,405)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		53,537	(147,160)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(14,000)	(32,811)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		9,871	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(4,129)	(32,811)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების დაფარვა		(33,988)	(16,916)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		8,827	(22,074)
გადახდილი დივიდენდები	12	-	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(25,161)	(38,990)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულში და ფულთან გათანაბრებულ ინსტრუმენტებში		24,247	(218,961)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობები/(ხარჯები), ფულზე და ფულთან გათანაბრებულ ინსტრუმენტებზე		(61,093)	(2,472)
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები წლის დასაწყისში		57,551	278,984
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები წლის ბოლოს	9	20,705	57,551

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტურისტული კომპანია ჯორჯიან ჰოლიდის“ დაფუძნდა 2006 წლის 19 ოქტომბერს და მას შემდეგ ეწევა უცხოელი ტურისტების ორგანიზებულ შემოყვანას და მათთვის ტურისტული პაკეტების მიწოდებას. კომპანიის გაყიდვების არეალი უცხოური ბაზრებია. მომსახურების გაწევის არეალი საქართველოა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ თბილისი, ძველი თბილისის რაიონში, წინამძღვრიშვილის №87. მისი რეგისტრაციის ნომერია (საიდენტიფიკაციო კოდია) 202355584. კომპანიის 100%-იანი მფლობელი არის მანანა ცირამუა, პირადი ნომრით 01030004200. 2022 წლამდე იგი ასევე იკავებდა აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას. 2022 წელს აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე დაინიშნა გიორგი ქართველიშვილი, პირადი ნომრით 01017034967. 2023 წელს, აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე დაინიშნა საბა გეწამე, პირადი ნომრით 01005029486.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად.

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ქართული ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის ანგარიშგების ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს სავალუტო ერთეულამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის მიხედვით, რომელსაც კომპანიის ხელმძღვანელობა შესაფერისად მიიჩნევს.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესა სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და შეიქმნა ლოჯისტიკური პრობლემები საერთაშორისო ბაზარზე და ფასების დესტაბილიზაცია. საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს ეკონომიკაში. მეორე მხრივ, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკის ერთნიშნა ზრდა არის პროგნოზირებული, რაც გამოწვეულია ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით.

2022 და 2021 წელს, კომპანიის შემოსავლის 99%-ს წარმოადგენდა ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის ტურ-პაკეტების მიწოდება.

(a) ამონაგების აღიარება

შემოსავლის 99%-ის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის 3 ქვეპუნქტის თანახმად, ტუროპერატორის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტის ორგანიზებული შემოყვანა და მისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული პროდუქტის მიწოდება ჩათვლის უფლებით

განთავისუფლებულია დღგ-საგან. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე.

კომპანია ტურისტული პაკეტის მიღებული შეკვეთისათვის განსაზღვრავს ფასს და შესაბამის ინვოისს უგზავნის მომხმარებელს, ძირითადად, ტურისტული პაკეტის უშუალოდ განხორციელებამდე ხდება მომხმარებლის მიერ თანხის გადახდა, რომელიც მიღებულ ავანსებში (გადავადებულ შემოსავალში) აღირიცხება. არის შემთხვევები, როდესაც ავანსის მიღებამდე კომპანია ხელშეკრულების მიხედვით გასწევს ტურისტული პაკეტის მომსახურებას, რომელიც დებიტორულ დავალიანებად (სავაჭრო მოთხოვნად) აღირიცხება.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

(b) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი, რომელიც ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრო მოგებას. დასაბეგრო მოგება იყოფა ორ ნაწილად: გაცემულ დივიდენდზე დარიცხული მოგების გადასახადი და არაეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეულ ხარჯზე დარიცხული მოგების გადასახადი.

(c) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადაა 5 წელი.

(d) აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

არის შემთხვევები, როდესაც ავანსის მიღებამდე კომპანია ხელშეკრულების მიხედვით გასწევს ტურისტული პაკეტის მომსახურებას, რომელიც დებიტორულ დავალიანებად (სავაჭრო მოთხოვნად) აღირიცხება. მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(f) სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით. ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება.

(g) სესხები და კრედიტები

კომპანია აღრიცხავს მის სასესხო ვალდებულებებს ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

(h) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება ეროვნულ ვალუტაში, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის ეროვნულ ვალუტაზე გადასაცემელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ

პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცემად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3. ამონაგები

ლარი	2022	2021
სერვისი არარეზიდენტი ტურისტებისთვის	2,774,894	870,321
სერვისი რეზიდენტი ტურისტებისთვის	25,525	17,115
სულ ამონაგები	2,800,419	887,436

შემოსავალი არარეზიდენტი ტურისტებისთვის გაწეული მომსახურებიდან საქართველოს კანონმდებლობით განთავსიუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან (დღგ). სერვისი რეზიდენტი ტურისტებისთვის ჩვეულებრივ იბეგრება დღგ-ით.

4. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

ლარი	2022	2021
გიდების და მძღოლების შრომის ანაზღაურება	187,913	100,014
მიკრო მეწარმეების შრომის ანაზღაურება	1,475	18,901
სასტუმროს ხარჯები	837,199	388,147
რესტორნის ხარჯები	191,642	69,524
მუზეუმის ხარჯები	51,755	28,362
სატრანსპორტო ხარჯები	288,788	66,233
უცხოელი ბიზნეს პარტნიორების ხარჯები	335,362	4,935
სხვა ტურისტული ხარჯები	282,853	86,445
სულ თვითღირებულება	2,176,987	762,561

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2022	2021
შრომის ანაზღაურება	331,021	219,385
მივლინების ხარჯები	3,678	2,077
ცვეთა და ამორტიზაცია	19,593	24,491
რეკლამის ხარჯები	4,344	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	2,130	4,052
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	360,766	250,005

6. სხვა საოპერაციო ხარჯები

ლარი	2022	2021
ბანკის საკომისიო	6,819	2,565
სხვა საოპერაციო ხარჯები	54,207	44,387
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	61,026	46,952

7. მოგების გადასახადი

2022 წელს კომპანიამ გასცა 0 ლარის დივიდენდი (2021: 0 ლარი), რომელზეც დაერიცხა 0 ლარის მოგების გადასახადი (2021: 0 ლარი).

8. ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწის ნაკვეთები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	104,127	177,742	57,085	673,799	1,012,753
შემოსვლა	-	534	-	32,277	32,811
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	104,127	178,276	57,085	706,076	1,045,564
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	104,127	178,276	57,085	706,076	1,045,564
შემოსვლა	-	-	-	14,000	14,000
გაყიდვა	-	(27,871)	-	-	(27,871)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	104,127	150,405	57,085	720,076	1,031,693
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	-	(86,134)	(23,370)	-	(109,504)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(18,428)	(6,062)	-	(24,490)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	-	(104,562)	(29,432)	-	(133,994)
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-	(104,562)	(29,432)	-	(133,994)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(14,743)	(4,850)	-	(19,593)
გაყიდვა	-	18,000	-	-	18,000
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(101,305)	(34,282)	-	(135,587)
საბალანსო ღირებულება					
2021 წლის 31 დეკემბერს	104,127	73,714	27,653	706,076	911,570
2022 წლის 31 დეკემბერს	104,127	49,100	22,803	720,076	896,106

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაუმთავრებელი მშენებლობა, ღირებულებით 720,076 ლარი (2021: 706,076 ლარი) და მიწის ნაკვეთები, ღირებულებით 55,576 ლარი (2021: 55,576 ლარი), წარმოადგენენ ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფას (შენიშვნა 11).

9. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარი	2022	2021
ნაშთი ბანკში, ეროვნულ ვალუტაში	7,609	347
ნაშთი ბანკში, უცხოურ ვალუტაში	13,096	57,204
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20,705	57,551

10. საგადასახადო აქტივები

ვინაიდან კომპანიის მიერ დაგენერირებული შემოსავალი ძირითადად დღგ-სგან ჩათვლის უფლებითაა განთავსებული, ხდება გადახდილი დღგ-ების დაგროვება ზედმეტობაში, რითიც სხვა გადასახადების (სამემოსავლო, ქონება, მოგება, დივიდენდი) გადახდა ხორციელდება. 2022 წლის ბოლოს, ჩათვლილი დღგ-ის ზედმეტობის ნაშთმა შეადგინა 5,800 ლარი (2021: 28,360 ლარი).

11. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განხილულია ინფორმაცია ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული პროცენტის სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ.

ლარი	2022	2021
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	316,313	396,873
	316,313	396,873
მიმდინარე ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	30,014	63,636
	30,014	63,636
სულ სესხები და კრედიტები	346,327	460,509

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია დაუმთავრებელი მშენებლობითა და მიწის ნაკვეთებით (შენიშვნა 8).

სესხის დაფარვის ვადები და გრაფიკი

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი სესხები							
ფინანსური ინსტიტუტებისგან	ევრო	5.50%	2031	346,327	346,327	460,509	460,509
სულ პროცენტის ვალდებულებები				346,327	346,327	460,509	460,509

ვალდებულებების მოძრაობისა და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების შეჯერება

ლარი	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	460,509	460,509
ნასესხები სახსრების დაფარვა	(33,988)	(33,988)
საპროცენტო ხარჯი	22,000	22,000
გადახდილი პროცენტი	(22,000)	(22,000)
საკურსო მოგება	(80,194)	(80,194)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	346,327	346,327

ლარი	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	546,667	546,667
ნასესხები სახსრების დაფარვა	(16,916)	(16,916)
საპროცენტო ხარჯი	40,405	40,405
გადახდილი პროცენტი	(40,405)	(40,405)
საკურსო მოგება	(69,242)	(69,242)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	460,509	460,509

12. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში და 2018 წელს შესყიდული ავტობუსის თანხას. 2018 წელს კომპანიამ შეიძინა ავტობუსი 47,634 ლარის ექვივალენტად. აქედან კომპანიის მეწილემ თავისი პირადი ფული დაამატა 23,579 ლარის ოდენობით და შემოიტანა საწესდებო კაპიტალში. 2021 წელს, კომპანიის მეწილემ კაპიტალიდან უკან გამოიტანა 22,074 ლარი. 2022 წელს კომპანიის მეწილემ კაპიტალში შეიტანა 8,827 ლარი.

ლარი	2022	2021
სადამფუძნებლო საწესდებო კაპიტალი	300	300
ავტობუსის ყიდვისას დამატებული საწესდებო კაპიტალი	10,332	1,505
სულ ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,632	1,805

2022 წელს კომპანიის 100%-იან მეწილეზე გამოცხადდა და გადახდილი იქნა დივიდენდები 0 ლარის (2021: 0 ლარი) ოდენობით.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

შპს „ტურისტული კომპანია ჯორჯიან ჰოლიდის“

კომპანიის 100%-იანი მეწილე 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მანანა ცირამუა. 2022 და 2021 წლის განმავლობაში მასზე გაცემული დივიდენდის ოდენობა მოცემულია შენიშვნა 12-ში.

1-13 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 17 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:


საბა გეწაძე
აღმასრულებელი დირექტორი

